მწუხრულ ჰანგზე

[სილუეტები]

ალერსის ბაღში

გილიოტინაზე რომ აიყვანეს ანდრე შენიე, მან შუბლზე ხელი მიიდო და სთქვა:

აქ იყო რაღაც!

ჩემო კარგო, ჩემს გულშიაც იყო რაღაც, მაგრამ ახლა აღარ არის: ტყუილს ამბობენ, რომ სიყვარულის ადგილს სიძულვილი იჭერსო, მე არ ვგრძნობ სიძულვილს, სიცოცხლე ისევ
მეძახის ვნების ძახილით და მეც მივდევ ამ ხმას. რად არ იცოდი, რომ ჩემი სიყვარული მრისხანე საგუშაგო იყო? რად
არ იცოდი, რომ ჩემი სიყვარული შუადღე იყო უდაბნოში,
მწველი? შენ ალერსად მიიღე ის სიმღერა, ჩემში რომ რღვევის ღმერთი მღეროდა? შენ შემოდი ალერსის ბაღში დასასვენებლად, ვერ შეამჩნიე როგორ იკლაკნებოდნენ გველები,
მოშხამული ყვავილები სასიკვდილოდ როგორ თრთოდნენ!...
ახლა გვიანაა!.. როდის ამდგარა საფლავით მკვდარი: როდის
იყო, რომ ორჯერ ყვაოდნენ ყვავილები: გვირგვინმოხსნილ სიწმინდეს ვერ დაიბრუნებ!.. მაგრამ, შენც ხომ შველი იყავ
ჩემს გულ-მკერდზე გამთბარი, შენც ხომ აფთარივით გწყუროდა ჩემი სისხლი? იყავ მშვიდობით. ცხოვრების გზაჯვარედინზე შევხვდით ჩვენ, რომ ერთმანეთს გავშორებოდით: ჩემი
გაზაფხულის დღე და ღამე შენ გიმღეროდი: რა გენაღვლება
სხვას ვუმღერო მკრთალი ჰანგი შემოდგომისა?